

ხელშეკრულება

ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

----- 2018 წ

ერთის მხრივ შპს “ლუკოილ ჯორჯია” შემდგომში („დამკვეთი“) წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ქათამაძის სახით შემდგომში და მეორეს მხრივ, -----, (“შემსრულებელი“), წარმოდგენილი ----- სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 21 დეკემბრის №1-1/2684 ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შპს “ლუკოილ ჯორჯია“-ს მიერ გამოცხადებულ ტენდერში - ავტოგასამართ სადგურებსა და ნავთობბაზაში დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკური მომსახურების თაობაზე გამარჯვებულად გამოცხადდა კომპანია -----

1.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-თ გათვალისწინებულ “დამკვეთის” კუთვნილ ობიექტებზე;
- მომსახურება ითვალისწინებს უკვე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკურ მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში ვიდეომეთვალყურეობის სისტემების გამოცვლას და/ან მონტაჟს.
- ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე გასამართი სადგურების გეგმიურ მონიტორინგს – მინიმუმ კვირაში ერთხელ, ხოლო რეგიონებში მდებარე გასამართი სადგურების გეგმიურ მონიტორინგს – მინიმუმ თვეში ორჯერ.
- 24 საათიანი კომუნიკაციით ავტოგასამართ სადგურებთან სისტემის მუდმივი გამართულობის უზრუნველყოფას და მყისიერ რეაგირებას ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ყველა იმ მოთხოვნის უზრუნველყოფას რაც გათვალისწინებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 21 დეკემბრის №1-2/2684 ბრძანებით.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ. გვერდზე ორგანიზაციის პირადი გვერდის მართვას, მონიტორინგს და შსს-ს მიერ ორგანიზაციის პირად გვერდზე მითითებულ შენიშვნებზე პასუხისმგებლობას.

2. ანგარიშსწორების პირობები

2.1. მომსახურების ყოველთვიური საფასური შეადგენს ----- ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 მოსახურების საფასური ასევე მოიცავს ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მიმდინარე შეკეთებისთვის გათვალისწინებულ ხარჯებს თვეში 200 ლარის ოდენობით, რომელზეც “შემსრულებელი” დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნას “დამკვეთს” არ წარუდგენს.

2.3 ანგარიშსწორება ხორციელდება მომდევნო თვის დასაწყისში (5 რიცხვამდე) ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. მხარეთა ვალდებულებები, უფლებები და პასუხისმგებლობა

3.1 “მხარეთა” ვალდებულებები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით.

3.2 “მხარეთა” პასუხისმგებლობა განისაზღვრება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობითა და არაჯეროვანის შესრულების გამო მიყენებული ზიანისა და/ან მატერიალური ზარალის შესაბამისად.

3.3. “მხარეთა” მიერ ერთმანეთის მიმართ მიყენებული ზიანისა და/ან მატერიალური ზარალის განსაზღვრას მხარეები განახორციელებენ ერთად, შემდგომში წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს.

3.4 “შემსრულებელი” პასუხისმგებელი არ არის იმ ზიანზე და/ან ზარალზე რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს “დამკვეთის” პერსონალის უყურადღებობითა და წინდაუხედაობით.

3.5. “შემსრულებელს” უფლება აქვს “დამკვეთს” ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოსთხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

3.6. “დამკვეთი” ვალდებულია გადაუხადოს “შემსრულებელს” მომსახურების გადასახადი ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

3.7. “დამკვეთი” ვალდებულია მომსახურების დეფექტის, ნაკლის ან ხარვეზის აღმოჩენისას წერილობითი ფორმით აცნობოს შემსრულებელს და მოითხოვოს მათი აღმოფხვრა ან/და გამოსწორება შემსრულებლის ხარჯით და დამკვეთთან შეთანხმებულ ვადაში.

4. ფორს-მაჟორი

4.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული პირობების (ომი, სამოქალაქო გადატრიალება, სტიქიური უბედურებები, ემბარგო, გაფიცვა, მასობრივი არეულობები და სხვა) დადგომის შედეგად.

4.1. მხარე, რომელიც აღმოჩნდა ფორს-მაჟორული პირობების მოქმედების სფეროში ვალდებულია 48 საათის განმავლობაში აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

4.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე ან/და გაგრძელებამდე იმ ვადით, რა დროითაც გაგრძელდება ფორს-მაჟორით გამოწვეული გარემოებების დარეგულირება.

4.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5. ხელშეკრულების მოქმედის ვადა

5.1 წინამდებრე ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 15 ნოემბრიდან და მოქმედებს 2020 წლის 15 ნოემბრამდე;

5.2. ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია არაუგვიანეს ერთი თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულების პირობები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო ნორმებს;

6.2. მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ისინი მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი სახელით და სახელშეკრულებო მუხლების აღსრულებაზე წარმომადგენლობის რაიმე უფლება მესამე პირს არ ეკისრება;

6.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად ცნობა ზეგავლენას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების იურიდიულ ქმედითობაზე;

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ სახელშეკრულებო პირობები ატარებდნენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს გადაეცემა მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

6.5. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წამოჭრილი სადაო საკითხები გადაწყდეს მოლაპარაკებების შედეგად, წინააღმდეგ შემთხვევაში განიხილება სასამართლო წესით;

6.6. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია მისი წერილობით გაფორმებისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის შემთხვევაში.

6.7 ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი;

6. მხარეთა რეკვიზიტები

7.

“დამკვეთი”

”შემსრულებელი”

შ.პ.ს. „ლუკოილ ჯორჯია“

საინდიფიკაციო კოდი: 204976302

მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა

სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე

ტერიტორია

ტელ: 238 99 97 ფაქსი: 238 99 92

E-mail: kote@lukoil.ge

საბანკო რეკვიზიტები:

თიბისი ბანკი

კოდი TBCBGE22

ა/ა GE88TB1100000035467729

ზაზა ქათამაძე
დირექტორი

ავტოგასამართი სადღურების მისამართები სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურება:

საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადღურები:

1. მტკვრის მარჯვენა სანაპირო გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია აგს №1
2. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. (თბილისის შემოსასვლელში) აგს №2
3. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, რესტორან „იმერეთთან“, აგს №3
4. დ. აღმაშენებლის ხეივანისა და მიქელაძის ქუჩის გადაკვეთა აგს №4
5. კახეთის გზატკეცილის მარცხენა მხარე, ორხევის ხიდთან აგს №5
6. გმირთა მოედნის მიმდებარედ, საცურაო აუზის „ლაგუნა ვერეს“ წინ. აგს №6
7. მდ.მტკვრის მარცხენა სანაპირო, “ვახუშტის ხიდის” მიმდებარედ აგს №7
8. თამარაშვილის ქუჩა, აღ. ყაზბეგის გამზირის გადაკვეთამდე აგს №8
9. გელოვანის გამზირზე, ვაშლიჯვრის ტერიტორია აგს №9
10. გლდანი, დიღომის შემაერთებელ გზაზე, სარაჯიშვილის ქუჩასთან ხიდთან აგს №10
11. გურამიშვილის გამზ. ს/ს „ცისარტყელა“-ს მოპირდაპირე მხარეს აგს №11
12. ა.წერეთლის გამზირზე, სამთოქიმიის მოპირდაპირედ აგს №12
13. ა.წერეთლის გამზირზე, სამთოქიმიის მიმდებარედ აგს №13
14. კახეთის გზატკეცილი მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდებარედ აგს №15
15. ორთაჭალაძესთან №72-ე სკოლის მიმდებარედ აგს №16
16. წურწუმიასა და კროპოტკინის ქუჩების მიმდებარედ; აგს №17
17. ჯავახეთის, კალოუბნის და შუამთის ქუჩებს შორის; (ვარკეთილი) აგს №18
18. დ. აღმაშენებლის მე-13 კილომეტრი; (თბილისის გასასვლელში) აგს №19
19. ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. 25ა, პარიზის კომუნა №1 აგს №21
20. ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. 1კ, აგს №22
21. ქ. ბათუმი, სოფელი ანგისა აგს №23

22. მცხეთის რ-ნი სოფ. ძეგვი – ნავთობპროდუქტების შესანახი ბაზა

ოჯართი სარეგბლობაში არსებული ავტოგასამართი სადღურები:

1. ქ. გორი ცხინვალის გზატკეცილი №2
2. ქ. ხაშური ბორჯომის ქ. 191
3. ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი,
4. ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის 21
5. ნინოწმინდა, თავისუფლების 1
6. ქ. ჭიათურა, მღვიმევის 4ბ
7. ზესტაფონი, აღმაშენებლის 10
8. ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. №27
9. ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის 98
10. ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ჩიხი 1, №2
11. ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი
12. ამბროლაური, ვ. ფშაველას 18
13. ხონი, ჭანტურიას 153
14. ქ. ონი, ვახტანგ VI-ის ქ.
15. წყალტუბოს რ.ნი, სოფ. ქვიტირი
16. სოფ. ოკამი
17. სოფ. მისაქციელი
18. ქობულეთი, მ. აბაშიძის №14
19. გურჯაანი, სოფ. ჩუმლაყი
20. ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის 185

დამკვეთი

შემსრულებელი

შპს "ლეკოილ ჯორჯია"
დირექტორი ზაზა ქათამაძე -----

შპს "ტოგონისი"
დირექტორი ზურა ნოზაძე -----

